



საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030443612116717

№ 04-936/ო

25 / დეკემბერი / 2017 წ.

„სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“  
სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2017 წლის 13  
ოქტომბრის №04-738/ო ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სსიპ–სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 13 ოქტომბრის №04-738/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება – ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი N1 ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით.
2. სოციალური მომსახურების სააგენტოს (შემდგომში – „სააგენტო“) ეკონომიკურმა დეპარტამენტმა (ლ. მამულაშვილი) უზრუნველყოს „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთვის ღონისძიებები, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
3. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2018 წლის განმავლობაში განსახორციელებელი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის“ პროექტიულად გამოქვეყნება, დადგენილი პირობებით.
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, თ. მოდებამეს.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს  
დირექტორი, საქართველოს შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის  
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე

სახელმწიფო შესყიდვების 2018 წლის გეგმის პროექტი							დანართი №1	
1. შედგენის თარიღი				2. შემსყიდველი ორგანიზაციის საიდენტიფიკაციო კოდი 202178927				
3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება			4. დაფინანსების წყარო					
სოციალური მომსახურების სააგენტო								
5. სახელმწიფო შესყიდვების გეგმით გათვალისწინებული ჯამური თანხა							22,750,084	
№	დანაყოფის კოდი	დანაყოფის დასახელება	სავარაუდო ღირებულება	შესყიდვის საშუალება	შესყიდვების დაწყების სავარაუდო ვადები	შესყიდვის ობიექტის მიწოდების სავარაუდო ვადა	საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლი	შენიშვნა
1	2	3	4	5	6	7	8	9
1	09100000	საწვავი	300,000	კონ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
2	22800000	ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნები, საბუღალტრო წიგნები, ფორმები და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთები	38,670	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
3	24900000	სუფთა და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტები	700	გ.შ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
4	30100000	საოფისე მანქანა-დანადგარები, აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა	39,249	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
5	33100000	სამედიცინო მოწყობილობები	71,400	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	სოციალური უზრუნველყოფა	
6	33600000	ფარმაცევტული პროდუქტები	21,370,000	გ.შ.	IV/2017	I-IV/2018	სოციალური უზრუნველყოფა	
7	50100000	სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები	88,000	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
8	50112300	მანქანის რეცხვა და მსგავსი მომსახურებები	10,800	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
9	64200000	სატელეკომუნიკაციო მომსახურებები	21,690	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	

10	66500000	სადაზღვევო და საპენსიო მომსახურებები	26,830	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	სხვა ხარჯი	
11	72400000	ინტერნეტ მომსახურებები	298,922	გ.შ.	IV/2016	I-IV/2017	საქონელი და მომსახურება	კანონის 10 პრიმა მუხლის მე-3 პუნქტის "დ" ქვეპუნქტი
12	79700000	გამოძიებასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მომსახურებები	130,000	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
13	90900000	დასუფთავება და სანიტარული ღონისძიებები	350,000	ე.ტ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
14	92200000	რადიო და სატელევიზიო მომსახურებები	3,823	გ.შ.	IV/2017	I-IV/2018	საქონელი და მომსახურება	
სულ:			22,750,084					